


# საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

(III კვარტალი, 2022)

*მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ*






„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

მოცემულ ბიულეტენში, რომელიც Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.

პროექტში საქართველოდან 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2022 წლის სექტემბერში.



### საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, III კვარტალი, 2022



- გამოკითხვის შედეგების თანახმად, 2022 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ეკონომიკური კლიმატი გაუმჯობესდა როგორც 2022 წლის მეორე კვარტალთან, ასევე 2021 წლის მესამე კვარტალთან შედარებით.
- ამავე პერიოდში გამოკითხულმა ქართველმა ეკონომისტებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა. 2022 წლის მეორე კვარტალსა და 2021 წლის მესამე კვარტალში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებები უარყოფითი იყო. ხოლო 2022 წლის მესამე კვარტალში მოცემული შეფასება ამ ორივე კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.
- ეკონომისტებს ასევე დადებითი მოლოდინი აქვთ საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს პროგნოზი მცირედით გაუარესდა 2022 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, მაგრამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2021 წლის მესამე კვარტალთან შედარებით.



# მშპ-ს, ინფლაციის, ვაჭრობისა პროგნოზები და გაცვლითი კურსის შეფასებები

გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:


- ❑ რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2022 წელს საშუალოდ 8.2%-ს შეადგენს;
- ❑ მოსალოდნელია ინფლაციის კლება შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;
- ❑ უახლოეს ექვს თვეში მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა, გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- ❑ უახლოეს ექვს თვეში მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა, გასულ ექვს თვესთან შედარებით;
- ❑ მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით, ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ უფრო ნაკლებად გაიზრდება, ვიდრე იმპორტისა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას.

ამჟამად, ქართული ლარი:

- ❑ ნაკლებად არის შეფასებული აშშ დოლარისა და ევროს მიმართ;
- ❑ შესაბამის დონეზე არის შეფასებული თურქული ლირის მიმართ;
- ❑ უფრო მეტად არის შეფასებული რუსული რუბლის მიმართ.



- ეკონომისტებმა შეაფასეს ის არხები, რომელთა გავლითაც მოსალოდნელია რომ რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ტურისტების ნაკადების ზრდა საქართველოს ეკონომიკაზე აისახება.
- უმეტესობა (80%) თვლის, რომ გაზრდილი მოხმარება მნიშვნელოვნად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე. ეკონომისტთა დიდი ნაწილი, (75% და 71%, შესაბამისად) თვლის რომ, ქირის ფასების ზრდა და უძრავი ქონების ფასების ზრდა (მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნის შედეგად), მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. ამავდროულად, რესპოდენტთა 65% ვარაუდობს, რომ საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს უცხოური ვალუტის შემოდინება, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ უკრაინელი და რუსი მიგრანტების დიდი ნაწილი დისტანციურად მუშაობს და ანაზღაურებას უცხოურ ვალუტაში იღებს.
- გარდა ამისა, ეკონომისტების 42% ნაწილის შეფასებით მიგრანტების მიერ ახალი კომპანიების დაარსებამ, ხოლო 38%-ის აზრით კვალიფიციური მუახელის შემოდინებამ შეიძლება გარკვეული (არც ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა არც უმნიშვნელო) გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.




ეკონომისტებმა, 1-დან (ძალიან უარყოფითი) 5-მდე (ძალიან დადებითი) სკალაზე, შეაფასეს რუსი, უკრაინელი და ბელორუსი მიგრანტების შემოსული ნაკადის ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე.


რესპოდენტების დაახლოებით ნახევარი (48%) დადებითად ან ძალიან დადებითად აფასებს რუსი, უკრაინელი და ბელორუსი მიგრანტების შემოსული ნაკადის ეფექტს საქართველოს ეკონომიკაზე, როდესაც 20% ამ მოვლენას უარყოფითად ან ძალიან უარყოფითად უყურებს, ხოლო 32% კი ნეიტრალურ დამოკიდებულებას აფიქსირებს.



- ❑ ეკონომისტებმა შეაფასეს რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების ზრდის შესაძლო მიზეზები. 2022 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში, რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილები 266%-ით გაიზარდა, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და ჯამურად 0.96 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც, მოცემულ პერიოდში, მთლიანი მიღებული ფულადი გზავნილების 40%-ს წარმოადგენდა. ამ ზრდის მიზეზად შეიძლება განიხილებოდეს არბიტრაჟი, რომელიც რუსეთზე დანესებულ სანქციებს უკავშირდება. უფრო კონკრეტულად, აშშ დოლარზე შეზღუდული ნვდომა რუბლის გაცვლით კურსზე აისახა, რის შედეგადაც, რუბლის ოფიციალური გაცვლითი კურსი და შავ ბაზარზე არსებული კურსი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ამის გამო, რუსეთის მოქალაქეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა საქართველოში რუბლის სახით თანხის გამოგზავნა, შემდეგ, აშშ დოლარში გადახურდავება, გადახურდავებული დოლარის რუსეთში დაბრუნება და მოგების მიზნით შავ ბაზარზე გაყიდვა დაიწყო.
- ❑ გამოკითხულთა უმეტესობა (56%) თვლის, რომ მოცემული არბიტრაჟი შეიძლება იყოს რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების გაზრდის მიზეზი და ამ პროცესმა შეიძლება ქართული ეკონომიკის ზრდის შეფერხება გამოიწვიოს.
- ❑ მეტიც, 32% თვლის, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა სცადოს მოცემული არბიტრაჟის შეჩერება, ხოლო დარჩენილი 24% მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის ჩარევა საჭირო არაა, რადგან მოცემული პროცესი თავისით დარეგულირდება.
- ❑ გამოკითხული ეკონომისტების 28% საერთოდ არ მიიჩნევს არბიტრაჟს ფულადი გზავნილების გაზრდის მიზეზად.



- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა სცადოს არბიტრაჟის შეჩერება, რადგან მან შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ეკონომიკა
- მიუხედავად იმისა რომ, არბიტრაჟმა შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ეკონომიკა, ეროვნული ბანკის ჩარევა საჭირო არაა, რადგან პროცესი თავისით დარეგულირდება
- არბიტრაჟი არ არის რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების გაზრდის მიზეზი
- არბიტრაჟი არ გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკის ზრდის შეფერხებას, შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ჩარევა საჭირო არაა
- არ გამაჩნია მოსაზრება მოცემულ თემასთან დაკავშირებით



ეკონომისტებმა 5 ბალიან სკალაზე (1 - ძალიან უარყოფითი, 5 - ძალიან დადებითი) შეაფასეს რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს პორტებზე.

ეკონომისტების 44%-ს დადებითი მოლოდინები აქვს, 16% ამ სიტუაციას უარყოფითად ან ძალიან უარყოფითად უყურებს, ხოლო 40% ნეიტრალურ პოზიციას იკავებს.

- ❑ ცნობილია, რომ ივლისში საქართველოს ეკონომიკის 9.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა. შესაბამისად, გამოკითხვის ფარგლებში, ეკონომისტებმა შეაფასეს საქართველის მაკროეკონომიკური ზრდის მიზეზები.
- ❑ ეკონომისტთა უმეტესობა, 88% და 80% შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად მიზეზებად ფულადი გზავნილების ზრდასა და ტურიზმის სექტორის აღდგენას ასახელებს.
- ❑ რესპოდენტთა 75% ასევე თვლის, რომ მიგრანტების შემოდინების შედეგად კიდევ უფრო მეტად გაზრდილი მოხმარება ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.
- ❑ მეორეს მხრივ, არცერთი გამოკითხული ეკონომისტი ეკონომიკის ზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებად არ ასახელებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ზრდასა და ენერჯეტიკის სექტორის განვითარებას.



# ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში

	2019	2020	2021	2022 Q1	2022 Q2
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7	15 842.9	18 700.1*	4 610.4*	5 999.7*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7	5 015.3*	1 249.9*	1 626.5*
მშპ რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.8%	10.4%*	14.9%*	7.1%*
ინფლაცია	4.9%	5.2%	11.8%	13.2%	13.0%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 352.2	589.0	1 241.8	571.1*	351.8*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	19.4%	18.1%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	8 205	8 082	7 784
სიღარიბის დონე(ფარდობითი)	20.1%	19.7%	18.9%	-	-

\* წინასწარი მონაცემები



ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოსატყობი ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

o პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

o რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემლუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

**გიორგი ხიშტოვანი**  
კვლევითი დირექტორი  
[g.khishtovani@pmcginternational.com](mailto:g.khishtovani@pmcginternational.com)

**სოფო ბასილიძე**  
მკვლევარი  
[s.basilidze@pmcginternational.com](mailto:s.basilidze@pmcginternational.com)

**ანასტასია ჩხენკელი**  
უმცროსი მკვლევარი  
[a.chkhenkeli@pmcginternational.com](mailto:a.chkhenkeli@pmcginternational.com)

**ანა სურმანიძე**  
სტაჟიორი  
[a.surmanidze@pmcginternational.com](mailto:a.surmanidze@pmcginternational.com)

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3  
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.  
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181  
ელ. ფოსტა: [research@pmcginternational.com](mailto:research@pmcginternational.com)  
ვებსაიტი: [pmcresearch.org](http://pmcresearch.org)